

# ჰარმონიზაციის გეგმა

ევროსტატის რეგიონული სტატისტიკის NUTS  
კლასიფიკაციის საქართველოში ეტაპობრივი დანერგვისთვის

მომზადებულია საქსტატის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის  
სამინისტროს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში

ნოემბერი, 2022

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი .....	1
პრეამბულა .....	2
ჰარმონიზაციის გეგმა .....	5
ინტეგრირებული ჰარმონიზაციის გეგმა NUTS რეგიონული სტატისტიკის ყველა მონაცემთა ჯგუფისთვის .....	14
დამატებითი კომპონენტები და საკითხები .....	23
„ჭკვიანი სპეციალიზაციის“ პლატფორმასთან დაკავშირებული პრიორიტეტული ინდიკატორების წარმოება .....	25
დასკვნითი დებულებები .....	26
დანართი 1. ევროსტატის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის (NUTS) კლასიფიკაციის გამოყენების შერჩეული სცენარი .....	27
დანართი 2. თანმდევი დოკუმენტების ჩამონათვალი .....	28

# პრეამბულა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, 2020 წელს მომზადდა კვლევა „საქართველოში ევროსტატის NUTS მეთოდოლოგიის დანერგვისა და მისი გამოყენების პრაქტიკული შედეგების შესახებ“<sup>1</sup>. კვლევა მიზნად ისახავდა, ევროსტატის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის (NUTS) კლასიფიკაციის გამოყენების სცენარების<sup>2</sup> მომზადებას და საქართველოს მთავრობისთვის შეთავაზებას.

NUTS ევროკავშირში გამოიყენება როგორც საერთო სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკურ მონაცემთა სისტემის ორგანიზების და პოლიტიკის წარმოების (მ.შ. ევროკავშირის კოჭეხის<sup>3</sup> ჩარჩო პოლიტიკის ჭრილში), აგრეთვე ამ პროცესების ეფექტიანობისა და შედეგიანობის მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი. NUTS კლასიფიკაცია ევროკავშირის წევრ თითოეულ ქვეყანაში აერთიანებს მონაცემებს ტერიტორიული ერთეულების დონეებზე.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის თანახმად, სტატისტიკის ეროვნულმა სისტემამ სრულად უნდა დანერგოს თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიები და კლასიფიკაციები, მათ შორის NUTS გამოყენების პერსპექტივათა შესაფასებლად. გარდა ამისა, საქართველო-ევროკავშირის 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველომ 2027 წლისთვის უნდა უზრუნველყოს NUTS კლასიფიკაციის დანერგვა.

კვლევაში ინტეგრირებული რეკომენდაციებისა და საორიენტაციო სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შეიქმნა სპეციალური უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) წარმომადგენლები და მოწვეული ექპერტები, ასევე ევროსტატის მიერ ნომინირებული წარმომადგენელი (ad hoc member). მის ფარგლებში შეჯერდა ქვეყნის სტატისტიკურ რეგიონებად დაყოფის სცენარი. კვლევაზე მუშაობის დროს, აგრეთვე მომზადდა საქართველოში NUTS-ის დანერგვის საწყისი, საორიენტაციო სამოქმედო გეგმა<sup>4</sup>. გეგმა განხილული და მოწონებული იქნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ. საქართველოში NUTS-ის დანერგვის ყველა ეტაპი და, შესაბამისად, ყველა აქტივობა განისაზღვრა ამ გეგმის შესაბამისად. გარდა ამისა, მომზადდა რეკომენდაციები NUTS-ისთვის რეგიონების რეესტრის შექმნაზე და კოდირებაზე.

თავდაპირველად, შეთანხმდა პრიორიტეტულ მონაცემთა ბაზები NUTS-ის დონეებისთვის (სულ მონაცემთა 5 პირველადი ბაზა), რომელთა შესახებ პირველი ეტაპისთვის განხორციელდა საქართველოში არსებული მონაცემების ინვენტარიზაცია და შეფასება. ეს ბაზებია:

- რეგიონული განათლების სტატისტიკა
- რეგიონული მეცნიერების და ტექნოლოგიების სტატისტიკა
- რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა
- რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა
- რეგიონული გარემოსდაცვითი და ენერგეტიკის სტატისტიკა.

მუშაობის შემდეგ ეტაპზე (2021 წლის ზაფხული) შეფასდა ზემოთ მოცემული 5 მონაცემთა ბაზის 109 ინდიკატორის ხელმისაწვდომობა. გაანალიზებული 109 ინდიკატორიდან სტატუსი „ხელმისაწვდომი“ მიენიჭა 17 ინდიკატორს, „ნაწილობრივ ხელმისაწვდომი“ – 57-ს, ხოლო „არ არის ხელმისაწვდომი“ – 35 ინდიკატორს. შესაბამისად, იმ ინდიკატორების რაოდენობა, რომელთა წარმოებას დამატებითი ძალისხმევა ან რესურსი სჭირდება, შეადგენს 92-ს. შემდგომ, დარჩენილი 92 ინდიკატორიდან შეირჩა 20 ინდიკატორი, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ ან „ნაწილობრივ ხელმისაწვდომი“, ან „არ არის

<sup>1</sup> <http://mrdi.gov.ge/pdf/60ffce587bc8a.pdf>; კვლევა%20EU%20NUTS%20სამომავლო%20დანერგვის%20მეთოდოლოგიის%20შესახებ.pdf  
<sup>2</sup> კვლევაში განხილული 4 სცენარიდან, უპირატესობა მიენიჭა მე-4 ვარიანტს (იხ. **დანართი 1**), რომლის შემთხვევაში, საქართველო იყოფა **3 NUTS 2** (დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო, და თბილისი) და **10 NUTS 3** რეგიონად. რაც ამავდროულად სრულად ერგება ქვეყანაში არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფას, მის მართვას და ასევე, თანხვედრაშია რეგიონული სტატისტიკის წარმოებასთან.  
<sup>3</sup> რეგიონული განვითარება და გათანაბრება. ევროკავშირის მთავარი საინვესტიციო პოლიტიკა, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ განვითარებას და მის წევრ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის დისბალანსის გამოსწორებას, გათანაბრებას.  
<sup>4</sup> <http://mrdi.gov.ge/pdf/60ffce403f26e.pdf>; ინდიკატორი%20სამოქმედო%20გეგმა%20EU-NUTS%20სამომავლო%20დანერგვისთვის.pdf

ხელმისაწვდომი“ სტატუსი. შეფასდა თითოეული მათგანის საწარმოებლად საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები. შერჩეული 20 ინდიკატორის შეფასებამ აჩვენა, რომ ამ ინდიკატორებისთვის საჭირო ყველა რესურსის მობილიზება შესაძლებლობას იძლევა იწარმოოს კიდევ დამატებით 24 ინდიკატორი. მთლიანობაში, გამოიკვეთა რომ ამ რესურსით საქართველო შეძლებს NUTS-ის 44 ინდიკატორის წარმოებას. თითოეულის წარმოების ღირებულება დათვლილია შეფასების საფუძველზე და ამ ეტაპზე არის მიახლოებითი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული ინდიკატორების წარმოება შესაძლებელი იქნება შესაბამისი ფინანსური და სხვა საჭირო რესურსების გამოყოფის შემთხვევაში.

2022 წლის გაზაფხულზე, სტატისტიკის ჰარმონიზაციის პირველადი გეგმის შესაბამისად, მოხდა შემდეგი ეტაპის 5 მონაცემთა ბაზის შეფასება. ეს მონაცემთა ბაზებია:

- რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა
- რეგიონული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა
- რეგიონული ბიზნეს დემოგრაფია (ბიზნეს რეგისტრი)
- რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა
- რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა.

მონაცემთა ეს 5 ბაზა ჯამში მოიცავს 66 ინდიკატორს. შესაბამისად, შეფასდა ყველა, 66-ივე ინდიკატორის ხელმისაწვდომობა. მათ მიენიჭათ სტატუსი „ხელმისაწვდომი“, „ნაწილობრივ ხელმისაწვდომი“ ან „არ არის ხელმისაწვდომი“. შესაბამისად, სტატუსი „ხელმისაწვდომი“ მიენიჭა 10 ინდიკატორს, „ნაწილობრივ ხელმისაწვდომი“ – 20-ს, ხოლო „არ არის ხელმისაწვდომი“ – 36 ინდიკატორს. იმ ინდიკატორების რაოდენობამ, რომელთა წარმოებას დამატებითი ძალისხმევა ან რესურსი სჭირდება, შეადგინა 56. ამ 56 ინდიკატორიდან შეირჩა 14 პრიორიტეტული ინდიკატორი და შეფასდა ამ ინდიკატორების წარმოებისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული ბიზნეს დემოგრაფიის ჯგუფის ყველა – ოთხივე ინდიკატორი ხელმისაწვდომია საქართველოში.

შერჩეული 14 ინდიკატორის შეფასებამ აჩვენა, რომ ამ ინდიკატორებისთვის საჭირო რესურსების მობილიზება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება შესაძლებლობას იძლევა იწარმოოს კიდევ დამატებით 11 ინდიკატორი. მთლიანობაში გამოიკვეთა, რომ ამ რესურსით საქართველო შეძლებს NUTS-ის 25 ინდიკატორის წარმოებას. თითოეულის წარმოების ღირებულება დათვლილია შეფასების საფუძველზე და ამ ეტაპზე არის მიახლოებითი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული ინდიკატორების წარმოება შესაძლებელი იქნება შესაბამისი ფინანსური და სხვა საჭირო რესურსების გამოყოფის შემთხვევაში.

2022 წლის ზაფხულში, სტატისტიკის ჰარმონიზაციის პირველადი გეგმის შესაბამისად მოხდა შემდეგი ეტაპის 6 მონაცემთა ბაზის შეფასება:

- რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკა
- რეგიონული ეკონომიკური ანგარიშები
- რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა
- რეგიონული ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
- რეგიონული სიღარიბის და სოციალური გარიყულობის სტატისტიკა
- რეგიონული კრიმინალური სტატისტიკა.

მონაცემთა ბაზები ჯამში მოიცავს 116 ინდიკატორს. შესაბამისად, განხორციელდა ყველა ამ ინდიკატორის ხელმისაწვდომობის შეფასება. მათ მიენიჭათ სტატუსი „ხელმისაწვდომი“, „ნაწილობრივ ხელმისაწვდომი“ ან „არ არის ხელმისაწვდომი“. სტატუსი „ხელმისაწვდომი“ მიენიჭა 62 ინდიკატორს, „ნაწილობრივ ხელმისაწვდომი“ – 14-ს, ხოლო „არ არის ხელმისაწვდომი“ – 40 ინდიკატორს. იმ ინდიკატორების რაოდენობამ, რომელთა წარმოებას დამატებითი ძალისხმევა ან რესურსი სჭირდება, შეადგინა 54. ამ 54 ინდიკატორიდან შეირჩა 14 პრიორიტეტული ინდიკატორი და შეფასდა მათი წარმოებისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები. აღსანიშნავია, რომ რეგიონული კრიმინალური სტატისტიკის ინდიკატორი ხელმისაწვდომია საქართველოში, წარმოადგენს უწყებრივ სტატისტიკას და მისი გამოქვეყნება შესაძლებელი იქნება დამატებითი რესურსების გარეშე. შერჩეული 14 ინდიკატორის შეფასებამ აჩვენა, რომ ამ ინდიკატორებისთვის საჭირო რესურსების მობილიზება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება შესაძლებლობას იძლევა იწარმოოს კიდევ დამატებით 9 ინდიკატორი. მთლიანობაში გამოიკვეთა, რომ ამ რესურსით საქართველო შეძლებს NUTS-ის 23 ინდიკატორის წარმოებას.

განალიზებული NUTS რეგიონული სტატისტიკის კლასიფიკაციის ყველა, 16 მონაცემთა ბაზის ინდიკატორების ხელმისაწვდომობის შეფასების გაერთიანებული შედეგები წამოდგენილია ქვემო ცხრილში.

ინდიკატორების რაოდენობა	ხელმისაწვდომი	ნაწილობრივ ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი
291	89	91	111

ამრიგად, როგორც ზემოთ მოცემული მიმოხილვიდან ჩანს, საერთო ჯამში, 16 მონაცემთა ბაზიდან ინდიკატორების წარმოებისთვის საჭირო რესურსების შეფასების მიზნით შეირჩა 48 ინდიკატორი (20 პირველი 5 მონაცემთა ბაზიდან, 14 მეორე 5 მონაცემთა ბაზიდან და 14 მესამე 6 მონაცემთა ბაზიდან). როგორც ამ 48 ინდიკატორის წარმოებისთვის საჭირო რესურსების ანალიზმა აჩვენა, მათი წარმოებისთვის საჭირო რესურსების გამოყოფის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დამატებით 44 ინდიკატორის წარმოება. მთლიანობაში, გაწეულმა სამუშაომ (წარმოებისთვის საჭირო რესურსების შეფასება) დაფარა 92 ინდიკატორი, რაც წარმოადგენს „ნაწილობრივ ხელმისაწვდომი“ (91) და „არ არის ხელმისაწვდომი“ (111) სტატუსის ინდიკატორების 45%-ს.

ინფორმაცია ყველა 291 ინდიკატორის შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

აღსანიშნავია, რომ ევროსტატი მუდმივად მუშაობს სისტემის ეტაპობრივ გაუმჯობესებაზე, რადგან ბევრი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ყველა მონაცემის მომზადებას და ყველა ქვეყნის სტატისტიკურ სისტემას არ აქვს NUTS-ის ყველა ინდიკატორის წარმოების შესაძლებლობა.

რესურსების შეფასების შედეგად, შესაძლებელი გახდა სტატისტიკის *ჰარმონიზაციის გეგმის* მომზადება, რაც არსებითად ეხმარება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ თემატურ ვალდებულებებს<sup>5</sup>.

წინამდებარე გეგმის შემუშავებას საერთო ზედამხედველობა გაუწია უწყებათშორისმა სამუშაო ჯგუფმა, რომელშიც ჩართული იყვნენ არა მხოლოდ საქსტატის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, არამედ სხვა უწყებების წარმომადგენლებიც (ადმინისტრაციული წყაროები).

<sup>5</sup> საქართველო-ევროკავშირის 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგი, პუნქტი 6 - „სტატისტიკა“, და პუნქტი 7.5 - „რეგიონული განვითარება და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა“.

## ჰარმონიზაციის გეგმა

ევროსტატის რეგიონული სტატისტიკა NUTS-ის დონეებისთვის 16 მონაცემთა ბაზას მოიცავს. მთლიანობაში, ეს მონაცემთა ბაზები შეიცავს დაახლოებით 290 ინდიკატორს. პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ეტაპობრივად შეირჩა და შეთანხმდა მონაცემთა თექვსმეტივე ბაზა NUTS-ის დონეებისთვის, ასევე „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ (S3) ევროპული პლატფორმის დანერგვისთვის აუცილებელი ცალკეული ინდიკატორები. შესაბამისად, ჰარმონიზაციის გეგმის პირველადი კომპონენტები მოიცავდა მხოლოდ ამ მონაცემთა ბაზებს, რომლებისთვისაც შეფასდა რესურსების ხელმისაწვდომობა და სამუშაოების დასრულების შემდგომ, გაერთიანდა ერთ სამუშაო გეგმად. ქვევით წარმოდგენილია სამუშაო გეგმა, როგორც თითოეული მონაცემთა ჯგუფისთვის ცალკე, ისე გაერთიანებული. სამუშაო გეგმა მოიცავს 14 მონაცემთა ჯგუფს, რადგან მონაცემთა ორი ჯგუფისთვის (რეგიონული ბიზნეს დემოგრაფია (ბიზნეს რეგისტრი) და რეგიონული კრიმინალური სტატისტიკა) ყველა ინდიკატორი ხელმისაწვდომია.

### ✚ რეგიონული განათლების სტატისტიკა

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტუალიზაცია	აქტუალიზაციის კვლევის ჩატარება	საქსტატი	2025	85 000 ლარი
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია	ავტორიზაციის პროცესის განხორციელება და დასრულება	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2025	-----
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკვლევაში ჩართვა	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კერძო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ინფორმაციის შეგროვება	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	2026	-----
რეგიონული განათლების სტატისტიკის წარმოების მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის ISCED-F 2013 კლასიფიკაციის შესწავლა	კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2024	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკურ გამოკვლევაში ჩართვის მიმართულებით	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქსტატი	2024	-----

**რეგიონული მეცნიერების და ტექნოლოგიების სტატისტიკა<sup>6</sup>**

ამოცანა	კმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
საპილოტე გამოკვლევა ბიზნეს სტატისტიკაში შესაბამის აქტიურ სექტორში კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და დასაქმების დასადგენად	კვლევის ჩატარება	საქსტატი	2024	100 000 ლარი საპილოტესთვის და შემდგომ ყოველწლიურად
არაკომერციული და არამოგებიანი ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევის განახლება კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და ამ სფეროში დასაქმების დასადგენად	არაკომერციული და არამოგებიანი ორგანიზაციების სტატისტიკური კვლევის შერჩევის ზრდა	საქსტატი	2024	10 000 ლარი ყოველწლიურად
კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და დასაქმების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის Field of Research and Development classification (FORD 2007) კლასიფიკაციის შესწავლა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი	2023	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და დასაქმების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის Nomenclature for the analysis and comparison of scientific programmes and budgets (NABS 2007) კლასიფიკაციის შესწავლა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო	2023	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
ტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად სექტორებში დასაქმების კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი	2023	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე

<sup>6</sup> ამ ჯგუფის ინდიკატორები კავშირშია განვითარების დაგეგმვის საქართველოში დასაწერი ახალი ევროპული პლატფორმის - „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ (S3) ინდიკატორებთან, რომლებზეც საჭირო რესურსების შეფასება უკვე გაკეთებულია. როგორც ჰარმონიზაციის გეგმის სხვა პირველადი კომპონენტების, ისე მათ შორის „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ ინდიკატორებზე მუშაობა ერთობლივად უნდა განხორციელდეს და მათზე მუშაობის დაწყება წარმოადგენს პირველი ეტაპის პრიორიტეტს.

თანამშრომლობა ფინანსთა სამინისტროსთან კვლევასა და განვითარებაში ხარჯების და დასაქმების დასადგენად	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო	2023	-----
თანამშრომლობა საქპატენტთან განახლებული საპატენტო განაცხადების შესახებ მონაცემების მიღების ფორმატის შეთანხმების მიზნით	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, საქპატენტი	2023	-----

**✚ რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა<sup>7</sup>**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
შრომის სტატისტიკის წარმოება NUTS კლასიფიკაციით	რეგიონულ დონეზე ხელმისაწვდომი ინდიკატორების წარმოება	საქსტატი	2024	სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლება
NUTS კლასიფიკაციით შრომის სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებისათვის გეგმის შემუშავება	შრომის ბაზრის დამატებითი ინდიკატორების წარმოებისათვის გეგმის შემუშავება, არსებული გამოკვლევების შერჩევის ზომისა და რესურსების გათვალისწინებით	საქსტატი	2025	სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლება

<sup>7</sup> ამ ჯგუფის ინდიკატორები კავშირშია განვითარების დაგეგმვის საქართველოში დასანერგი ახალი ევროპული პლატფორმის - „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ (S3) ინდიკატორებთან, რომლებზეც საჭირო რესურსების შეფასება უკვე გაკეთებულია. როგორც ჰარმონიზაციის გეგმის სხვა პირველადი კომპონენტების, ისე მათ შორის “ჭკვიანი სპეციალიზაციის” ინდიკატორებზე მუშაობა ერთობლივად უნდა განხორციელდეს და მათზე მუშაობის დაწყება წარმოადგენს პირველი ეტაპის პრიორიტეტს.



 რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
საპილოტე გამოკვლევა საავტომობილო ტრანსპორტის წლიური ტვირთბრუნვის მონაცემების მისაღებად	გამოკვლევის ჩატარება	საქსტატი	2025	230 000 ლარი საპილოტესთვის
შემოსავლების სამსახურის მონაცემების დამუშავება საავტომობილო ტრანსპორტის წლიური ტვირთბრუნვის მონაცემების მისაღებად	ბაზების დამუშავება	საქსტატი	2025	50 000 ლარი საპილოტესთვის
საავტომობილო ტრანსპორტის სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესამღებლობების გაძლიერება, მათ შორის Standard Goods Classification for Transport Statistics/Revised (NST/R) კლასიფიკაციის შესწავლა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი	2024	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
თანამშრომლობა სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა და ტვირთის ნაკადების შესახებ მონაცემების მიღების მიზნით	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	2023	-----
თანამშრომლობა სს საქართველოს რკინიგზასთან რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთბრუნვის მონაცემების მიღების მიზნით	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, სს საქართველოს რკინიგზა	2023	-----
განახლებული საბილეთო სისტემის შექმნა	პროექტის განხორციელება და დასრულება	სს საქართველოს რკინიგზა	2023	-----
მიღებული და გაგზავნილი ტვირთების მოცულობის აღრიცხვის სრულყოფა	პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა	სს საქართველოს რკინიგზა	2023	10 000 ლარი

**✚ რეგიონული გარემოსდაცვითი სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მდინარის აუზის მტკნარი წყლის რესურსების ინდიკატორის წარმოების მიზნით	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2027	-----
მდინარის აუზებში დაკვირვების წარმოებისთვის და ინდიკატორის გაანგარიშებისთვის საჭირო ლოჯისტიკური რესურსები (მაგალითად, საველე მანქანები, წყლის მზომი ხელსაწყოები, სამივლინებო ხარჯები და ა.შ.) შექმნა <sup>8</sup>	მდინარის აუზების ტექნიკური უზრუნველყოფა	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2027	3 000 000 ლარი

**✚ რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
სამუშაო ძალა: მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და გაწეული სამუშაოების რაოდენობა (კაც-დღე) სქესის მიხედვით – ინდიკატორის წარმოება	მონაცემების ანალიზი და ინდიკატორის გაანგარიშება	საქსტატი	2023	-----
ნიადაგის წყლით ეროზიის მონაცემების მიღება	კომუნიკაცია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან სამოქმედო გეგმის შედგენის თაობაზე	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	2023	-----
სასოფლო მეურნეობების ძირითადი მაჩვენებლების, მიწის გამოყენების, გამოყენებული სამუშაო ძალისა	ექსპერტის დაქირავება	საქსტატი, დონორები	2025	15 000 ლარი

<sup>8</sup> მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთის გათვალისწინებით, აღნიშნული ამოცანის დეტალების დაზუსტება ჰარმონიზაციის გეგმაში (მ.შ. შესაძლო განხორციელების ვადების განსაზღვრა/დაზუსტება) დამოკიდებული იქნება პასუხისმგებელი უწყებ(ებ)ის მიერ შემდგომი ეტაპის განხილვების შედეგებზე და შესაბამის გადაწყვეტილებებზე.

და მეურნეობების მართვის, პირუტყვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჯგუფის ინდიკატორების მეთოდოლოგიური შესწავლა				
ფერმერთა რეესტრისთვის საჭირო რესურსების შეფასება	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2025	-----
სასოფლო მეურნეობების ძირითადი მაჩვენებლების, მიწის გამოყენების, გამოყენებული სამუშაო ძალისა და მეურნეობების მართვის, პირუტყვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჯგუფის ინდიკატორების წარმოებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების მობილიზება	ახალი თანამშრომლების აყვანის საჭიროების განხილვა	საქსტატი, დონორები	2026	65 000 ლარი და შემდგომ ყოველწლიურად (იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება ახალი თანამშრომლების აყვანა)
სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ანგარიშების ინდიკატორებზე მუშაობა	სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით ინდიკატორებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების სცენარის და შესაბამისი შეფასების მეთოდიკის დამუშავება	საქსტატი	2025	-----

**✚ რეგიონული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
ადგილობრივი ერთეულების რაოდენობის განსაზღვრა	ბიზნეს რეგისტრის დამუშავების მიერ მიღებული შედეგების ანალიზი	საქსტატი	2025	-----
ადგილობრივი ერთეულების განსაზღვრა	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება ინფორმაციის წყაროების დაზუსტების და შეფასების მიზნით	საქსტატი	2025	-----

**✚ რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის განახლება	გამოკვლევის კითხვარის განახლება სასტუმრო ნომრების და ადგილების დატვირთვის მონაცემების მიღების მიზნით	საქსტატი	2027	-----
სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის მოცვის სრულყოფა	სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის გენერალური ერთობლიობის სრულყოფა (შესაძლებელი იქნება განთავსების ობიექტების სავალდებულო რეგისტრაციის შემთხვევაში)	საქსტატი	2027	40 000 ლარი დამატებით და შემდგომ ყოველწლიურად

**✚ რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
შრომის დანახარჯების სტატისტიკის ინდიკატორებისთვის საჭირო მონაცემების მიღება საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევიდან	კითხვარის ტესტირება რამდენიმე შერჩეული საწარმოს მაგალითზე, რათა მათ წარმოადგინონ ინდივიდუალური მონაცემები დასაქმებულების მიერ ჯამური ნამუშევარი საათების შესახებ	საქსტატი	2026	-----
შრომის დანახარჯების სტატისტიკის ინდიკატორებისთვის საჭირო მონაცემების მიღება საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევიდან	კითხვარის ტესტირებიდან მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შემდგომი ქმედებების დაგეგმვა	საქსტატი	2027	დამოკიდებული იქნება დაგეგმილ ქმედებებზე

**✚ რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის განსაზღვრა რეგიონებისთვის	დემოგრაფიული სტატისტიკის ახალი მოდელის დანერგვა	საქსტატი	2026	-----
თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება, სხვადასხვა დემოგრაფიული ანალიზისა და პროგნოზების პროგრამების შესწავლა და სხვა ქვეყნების გამოცდილების მიღება. ექსპერტთა ჩართულობით მეთოდოლოგიის შემუშავება მოსახლეობის პროგნოზების საწარმოებლად რეგიონების და მუნიციპალიტეტების მიხედვით	სამუშაო გეგმის მომზადება	საქსტატი, დონორები	2026	-----
მოსახლეობის რეგისტრის შექმნაზე მუშაობის დაწყება	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, დონორები	2026	-----

**✚ რეგიონული ეკონომიკური ანგარიშები**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
მყიდველობითი უნარის პარიტეტის სტანდარტით მშპ-ის გაანგარიშება	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით	საქსტატი, დონორები	2024	-----
რეგიონული მშპ-ის გაანგარიშების და ფასების სტატისტიკის წარმოების არსებული პრაქტიკის შეფასება	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით	საქსტატი, დონორები	2024	-----
ევროპულ ანგარიშთა სისტემის (ESA 2010) მეთოდოლოგიის შესწავლა	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის	საქსტატი, დონორები	2027	-----

	მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით			
--	---	--	--	--

**✚ რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
ჰოსპიტალური საწოლების კლასიფიკაციის შესწავლა	ექსპერტული დახმარების მისაღებად მოთხოვნის შემუშავება	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, საქსტატი	2024	-----

**✚ რეგიონული ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დამატებითი მაჩვენებლის წარმოება NUTS 2 დონეზე	გამოკვლევის ზომის გაზრდა	საქსტატი	2026	30 000 ლარი თავდაპირველად და ყოველწლიურად შერჩევის ზომის ზრდის მიზნით

**✚ რეგიონული სიღარიბის და სოციალური გარიყულობის სტატისტიკა**

ამოცანა	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
EU SILC-ის გამოკვლევის მეთოდოლოგიის შესწავლა	საჭიროებების ჩამონათვალის და სამუშაო გეგმის მომზადება ტექნიკური დახმარების მიღების მიზნით	საქსტატი, დონორები	2027	-----

## ინტეგრირებული ჰარმონიზაციის გეგმა NUTS რეგიონული სტატისტიკის ყველა მონაცემთა ჯგუფისთვის<sup>9</sup>

ამოცანა	NUTS მონაცემთა ჯგუფი	ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა	ღირებულება
თანამშრომლობა ფინანსთა სამინისტროსთან კვლევასა და განვითარებაში ხარჯების და დასაქმების დასადგენად	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო	2023	-----
თანამშრომლობა საქპატენტთან განახლებული საპატენტო განაცხადების შესახებ მონაცემების მიღების ფორმატის შეთანხმების მიზნით	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, საქპატენტი	2023	-----
კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და დასაქმების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის Field of Research and Development classification (FORD 2007) კლასიფიკაციის შესწავლა	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი	2023	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და დასაქმების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების შესაძლებლობების	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო	2023	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე

<sup>9</sup> საწყის ეტაპზე მომზადებულ სამოქმედო გეგმებში გადაიხედა ცალკეული ამოცანების განხორციელების ვადები

გამლიერება, მათ შორის Nomenclature for the analysis and comparison of scientific programmes and budgets (NABS 2007) კლასიფიკაციის შესწავლა					
ტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად სექტორებში დასაქმების კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი	2023	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
თანამშრომლობა სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა და ტვირთის ნაკადების შესახებ მონაცემების მიღების მიზნით	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	2023	-----
თანამშრომლობა სს საქართველოს რკინიგზასთან რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთბრუნვის მონაცემების მიღების მიზნით	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, სს საქართველოს რკინიგზა	2023	-----
განახლებული საბილეთო სისტემის შექმნა	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	პროექტის განხორციელება და დასრულება	სს საქართველოს რკინიგზა	2023	-----
მიღებული და გაგზავნილი ტვირთების მოცულობის აღრიცხვის სრულყოფა	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა	სს საქართველოს რკინიგზა	2023	10 000 ლარი
სამუშაო ძალა: მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და გაწეული სამუშაოების რაოდენობა (კაც- დღე) სქესის მიხედვით - ინდიკატორის წარმოება	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	მონაცემების ანალიზი და ინდიკატორის გაანგარიშება	საქსტატი	2023	-----



ნიადაგის წყლით ეროზიის მონაცემების მიღება	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	კომუნიკაცია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან სამოქმედო გეგმის შედგენის თაობაზე	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	2023	-----
რეგიონული განათლების სტატისტიკის წარმოების მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის ISCED-F 2013 კლასიფიკაციის შესწავლა	რეგიონული განათლების სტატისტიკა	კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2024	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკურ გამოკვლევაში ჩართვის მიმართულებით	რეგიონული განათლების სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქსტატი	2024	-----
საპილოტე გამოკვლევა ბიზნეს სტატისტიკაში შესაბამის აქტიურ სექტორში კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და დასაქმების დასადგენად	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	კვლევის ჩატარება	საქსტატი	2024	100 000 ლარი საპილოტესთვის და შემდგომ ყოველწლიურად
არაკომერციული და არამოგებიანი ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევის განახლება კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების და ამ სფეროში დასაქმების დასადგენად	რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა	არაკომერციული და არამოგებიანი ორგანიზაციების სტატისტიკური კვლევის შერჩევის ზრდა	საქსტატი	2024	10 000 ლარი ყოველწლიურად

შრომის სტატისტიკის წარმოება NUTS კლასიფიკაციით	რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა	რეგიონულ დონეზე ხელმისაწვდომი ინდიკატორების წარმოება	საქსტატი	2024	სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლება
საავტომობილო ტრანსპორტის სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საქსტატის თანამშრომლების შესამდებლობების გაძლიერება, მათ შორის Standard Goods Classification for Transport Statistics/Revised (NST/R) კლასიფიკაციის შესწავლა	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება მეთოდოლოგიის და კლასიფიკაციის შესწავლის მიზნით, კომუნიკაცია ევროსტატთან	საქსტატი	2024	დამოკიდებული იქნება სამუშაოების მოცულობაზე
მყიდველობითი უნარის პარიტეტის სტანდარტით მშპ- ის გაანგარიშება	რეგიონული ეკონომიკური ანგარიშების სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ლონისძიებების გეგმის მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით	საქსტატი	2024	-----
რეგიონული მშპ-ის გაანგარიშების და ფასების სტატისტიკის წარმოების არსებული პრაქტიკის შეფასება	რეგიონული ეკონომიკური ანგარიშების სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ლონისძიებების გეგმის მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით	საქსტატი	2024	-----
ევროპულ ანგარიშთა სისტემის (ESA 2010) მეთოდოლოგიის შესწავლა	რეგიონული ეკონომიკური ანგარიშების სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ლონისძიებების გეგმის მომზადება, ექსპერტთა ჩართულობით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით	საქსტატი, დონორები	2027	-----
ჰოსპიტალური საწოლების კლასიფიკაციის შესწავლა	რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა	ექსპერტული დახმარების მისაღებად მოთხოვნის შემუშავება	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი	2024	-----

			ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, საქსტატი		
NUTS კლასიფიკაციით შრომის სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებისათვის გეგმის შემუშავება	რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა	შრომის ბაზრის დამატებითი ინდიკატორების წარმოებისათვის გეგმის შემუშავება, არსებული გამოკვლევების შერჩევის ზომისა და რესურსების გათვალისწინებით	საქსტატი	2025	სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლება
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტუალიზაცია	რეგიონული განათლების სტატისტიკა	აქტუალიზაციის კვლევის ჩატარება	საქსტატი	2025	85 000 ლარი
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია	რეგიონული განათლების სტატისტიკა	ავტორიზაციის პროცესის განხორციელება და დასრულება	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2025	-----
კერძო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკვლევაში ჩართვა	რეგიონული განათლების სტატისტიკა	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კერძო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ინფორმაციის შეგროვება	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	2026	-----
საპილოტე გამოკვლევა საავტომობილო ტრანსპორტის წლიური ტვირთბრუნვის მონაცემების მისაღებად	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	კვლევის ჩატარება	საქსტატი	2025	230 000 ლარი საპილოტესთვის
შემოსავლების სამსახურის მონაცემების დამუშავება საავტომობილო ტრანსპორტის წლიური ტვირთბრუნვის მონაცემების მისაღებად	რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა	ბაზების დამუშავება	საქსტატი	2025	50 000 ლარი საპილოტესთვის
სასოფლო მეურნეობების ძირითადი მაჩვენებლების, მიწის გამოყენების, გამოყენებული სამუშაო ძალისა	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	ექსპერტის დაქირავება	საქსტატი, დონორები	2025	15 000 ლარი

და მეურნეობების მართვის, პირუტყვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჯგუფის ინდიკატორების მეთოდოლოგიური შესწავლა					
ფერმერთა რეესტრისთვის საჭირო რესურსების შეფასება	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2025	-----
სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ანგარიშების ინდიკატორებზე მუშაობა	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით ინდიკატორებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების სცენარის და შესაბამისი შეფასების მეთოდის დამუშავება	საქსტატი	2025	-----
ადგილობრივი ერთეულების რაოდენობის განსაზღვრა	რეგიონული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა	ბიზნეს რეესტრის დამუშავების მიერ მიღებული შედეგების ანალიზი	საქსტატი	2025	-----
ადგილობრივი ერთეულების განსაზღვრა	რეგიონული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა	საჭირო რესურსების და ღონისძიებების გეგმის მომზადება ინფორმაციის წყაროების დაზუსტების და შეფასების მიზნით	საქსტატი	2025	-----
თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება, სხვადასხვა დემოგრაფიული ანალიზისა და პროგნოზების პროგრამების შესწავლა და სხვა ქვეყნების გამოცდილების მიღება. ექსპერტთა ჩართულობით მეთოდოლოგიის შემუშავება მოსახლეობის პროგნოზების საწარმოებლად რეგიონების და	რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკა	სამუშაო გეგმის მომზადება	საქსტატი, დონორები	2026	-----

მუნიციპალიტეტების მიხედვით					
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის განსაზღვრა რეგიონებისთვის	რეგიონული განათლების სტატისტიკა, რეგიონული დემოგრაფიის სტატისტიკა, რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა	დემოგრაფიული სტატისტიკის ახალი მოდელის დანერგვა	საქსტატი	2026	-----
მოსახლეობის რეგისტრის შექმნაზე მუშაობის დაწყება	რეგიონული დემოგრაფიის სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, დონორები	2026	-----
სასოფლო მეურნეობების ძირითადი მაჩვენებლების, მიწის გამოყენების, გამოყენებული სამუშაო ძალისა და მეურნეობების მართვის, პირუტყვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჯგუფის ინდიკატორების წარმოებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების მობილიზება	რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა	ახალი თანამშრომლების აყვანის საჭიროების განხილვა	საქსტატი, დონორები	2026	65 000 ლარი და შემდგომ ყოველწლიურად (იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება ახალი თანამშრომლების აყვანა)
შრომის დანახარჯების სტატისტიკის ინდიკატორებისთვის საჭირო მონაცემების მიღება საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევებიდან	რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა	კითხვარის ტესტირება რამდენიმე შერჩეული საწარმოს მაგალითზე, რათა მათ წარმოადგინონ ინდივიდუალური მონაცემები დასაქმებულების მიერ ჯამური ნამუშევარი საათების შესახებ	საქსტატი	2026	-----
შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების	რეგიონული ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო-	გამოკვლევის ზომის გაზრდა	საქსტატი	2026	30 000 ლარი თავდაპირველად და ყოველწლიურად

დამატებითი მაჩვენებლის წარმოება NUTS 2 დონეზე	საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტატისტიკა				შერჩევის ზომის ზრდის მიზნით
თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მდინარის აუზის მტკნარი წყლის რესურსების ინდიკატორის წარმოების მიზნით	რეგიონული გარემოსდაცვითი სტატისტიკა	სამუშაო ჯგუფის ფორმირება	საქსტატი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2027	-----
მდინარის აუზებში დაკვირვების წარმოებისთვის და ინდიკატორის გაანგარიშებისთვის საჭირო ლოჯისტიკური რესურსები (მაგალითად, საველე მანქანები, წყლის მზომი ხელსაწყოები, სამივლინებო ხარჯები და ა.შ.) შექმნა	რეგიონული გარემოსდაცვითი სტატისტიკა	მდინარის აუზების ტექნიკური უზრუნველყოფა	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2027	3 000 000 ლარი
სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის განახლება	რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა	გამოკვლევის კითხვარის განახლება სასტუმრო ნომრების და ადგილების დატვირთვის მონაცემების მიღების მიზნით	საქსტატი	2027	-----
სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის მოცვის სრულყოფა	რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა	სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის გენერალური ერთობლიობის სრულყოფა (შესაძლებელი იქნება განთავსების ობიექტების სავალდებულო რეგისტრაციის შემთხვევაში)	საქსტატი	2027	40 000 ლარი დამატებით და შემდგომ ყოველწლიურად
შრომის დანახარჯების სტატისტიკის ინდიკატორებისთვის საჭირო მონაცემების მიღება	რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა	კითხვარის ტესტირებიდან მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შემდგომი ქმედებების დაგეგმვა	საქსტატი	2027	დამოკიდებული იქნება დაგეგმილ ქმედებებზე

საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევებიდან					
EU SILC-ის გამოკვლევის მეთოდოლოგიის შესწავლა	რეგიონული სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის სტატისტიკა	საჭიროებების ჩამონათვალის და სამუშაო გეგმის მომზადება ტექნიკური დახმარების მიღების მიზნით	საქსტატი, დონორები	2027	-----

## დამატებითი კომპონენტები და საკითხები

### ✚ „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ პლატფორმასთან დაკავშირებული ცალკეული პრიორიტეტული ინდიკატორები

„ჭკვიანი სპეციალიზაცია“ („Smart Specialization“/S3) წარმოადგენს ევროკავშირის კოჰეზიის ჩარჩო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს და მოწინავე მიმართულებას, რის საფუძველზეც ხდება რეგიონების და ეროვნული დონეების ეკონომიკური განვითარების პროგრამული და სტრატეგიული დაგეგმვა. შესაბამისი პლატფორმა უკვე აქტიურადაა ინიცირებული და ეტაპობრივად ინერგება არაწევრ და ასოცირებულ ქვეყნებშიც (მათ შორის მოლდოვა, უკრაინა, საქართველო). აღნიშნული კომპონენტი და თემატური ვალდებულება ასახულია ევროკავშირი-საქართველოს 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგში<sup>10</sup>. აგრეთვე, NUTS-ის კომპონენტთან ერთად, იგი ასახულია 2018 წლის ევროკავშირი-საქართველოს უმაღლესი დონის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტში.<sup>11</sup>

„ჭკვიანი სპეციალიზაციის“ სტრატეგიული დაგეგმვისთვის საჭირო ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები (იხ. ცხრილი ქვემოთ) წარმოადგენენ NUTS-ის სისტემის ორგანულ ნაწილს, რომლებზე დროული ხელმისაწვდომობა ამავედროულად წარმოადგენს შესაბამისი დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებელ წინაპირობას.

„ჭკვიანი სპეციალიზაციის“ კარტირება საქართველოში: იმერეთის რეგიონის ეკონომიკური და ინოვაციური პოტენციალი” ანგარიშზე მუშაობისას, ევროკომისიის ერთიანი კვლევების ცენტრთან (JRC) და საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად, გამოიკვეთა „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ 10 ინდიკატორი, რომელთა ხელმისაწვდომობა საჭიროა საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და საინოვაციო პოტენციალის ეფექტიანი შეფასებისთვის.

შერჩეული 10 ინდიკატორი მოქცეულია სამ შესაბამის ჯგუფში: **ეკონომიკური, ინოვაციური, და სამეცნიერო-ტექნოლოგიური** მონაცემები. მათი ხელმისაწვდომობა და წარმოებისათვის საჭირო რესურსები შეფასებული იქნა საქსტატის და ჩართული ექსპერტების მიერ, რაც ნიშნავს, რომ შესაბამისი საჭიროებები და რესურსები ამ დროისთვის იდენტიფიცირებულია.

„ჭკვიანი სპეციალიზაციის“ მიმდინარე დღის წესრიგიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ ინდიკატორების წარმოება უახლოესი წლების განმავლობაში.

<sup>10</sup> ქვეთავი 7.5 „რეგიონული განვითარება და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა“

<sup>11</sup> <https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2018-11/ec-georgia-high-level-meeting-agreed-outcomes.pdf>



ინდიკატორი	სექტორი (კლასიფიკაციის შესაბამისად)	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების ვადა
<b>ეკონომიკური, ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინდიკატორები<sup>12</sup></b>			
1. კომპანიების რაოდენობა	NACE Rev. 2 <sup>13</sup> , მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2022
2. გაყიდვების მოცულობა (მომსახურება, საქონელი), ბრუნვა	NACE Rev. 2, მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2023
3. დასაქმებულების რაოდენობა	NACE Rev. 2, მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2023
4. ხელფასები	NACE Rev. 2, მინიმუმ 3 ნიშნით	საქსტატი	2023
5. ექსპორტი	SITC 4-ნიშნა <sup>14</sup>	საქსტატი	2023
6. იმპორტი	SITC 4-ნიშნა	საქსტატი	2023
7. კომპანიების წილი, რომლებსაც გააჩნიათ: - ინოვაციური პროდუქტი - ინოვაციური პროცესები - ინოვაციის ამ ზემო 2 ტიპიდან ერთ-ერთი მაინც	NACE Rev. 2, მინიმუმ 2 ნიშნით <sup>15</sup>	საქსტატი	2027
8. კომპანიების წილი, რომლებიც ახდენენ ინვესტირებას: - შიდა კვლევასა და განვითარებაში - გარე კვლევასა და განვითარებაში - მანქანა-დანადგარებში, მოწყობილობებში და პროგრამულ უზრუნველყოფაში - განათლებაში და პერსონალის ტრენინგში - სხვა ტიპის ინოვაციებში	NACE Rev. 2, მინიმუმ 2 ნიშნით <sup>15</sup>	საქსტატი	2027
9. სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/ტექნიკორმი, საქსტატი	2022
10. საპატენტო განაცხადების რაოდენობა		საქპატენტი	2023

<sup>12</sup> აღნიშნული 10 ინდიკატორიდან მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 არ ივარება უშუალოდ წინამდებარე ჰარმონიზაციის გეგმის ფარგლებში, რამდენადაც ამ ეტაპზე არ წარმოადგენს NUTS-ის სისტემის ზუსტად შესატყვის ნაწილს. თუმცა, მათი სხვა ინდიკატორებთან მჭიდრო ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, რაც მხოლოდ ერთობლიობაში ხდის შესაძლებელს ასოცირების დღის წესრიგით და სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებული „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ ევროპული პლატფორმის ეფექტიან დაგეგმვას, საქსტატი სხვა უწყებებთან კოორდინაციით განახორციელებს შესაბამის სამუშაოებს მითითებულ ვადებში.

<sup>13</sup> კლასიფიკაცია „ეკონომიკური საქმიანობის სახეები - სეკ (NACE Rev. 2).

<sup>14</sup> საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია (SITC Rev. 4).

<sup>15</sup> მონაცემების გავრცელება მოხდება საკმარისი სიხშირის და დაბალი შერჩევითი ცდომილების პირობებში.

## „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ პლატფორმასთან დაკავშირებული პრიორიტეტული ინდიკატორების წარმოება

ჰარმონიზაციის პირველადი გეგმის თანახმად, 2022 წლისთვის განსაზღვრული იყო შემდეგი ორი ინდიკატორის წარმოება:

1. კომპანიების რაოდენობა (ქვეყნის დონეზე და რეგიონების დონეზე)
2. სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა (ქვეყნის დონეზე და რეგიონების დონეზე).

*კომპანიების რაოდენობა.* მონაცემები ამ ინდიკატორისთვის ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე, ბიზნეს რეგისტრის განყოფილებაში, საიდანაც შესაძლებელია დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მიღება კომპანიის საქმიანობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის და რეგისტრაციის იურიდიული მისამართის მიხედვით.

- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>
- [http://br.geostat.ge/register\\_geo/](http://br.geostat.ge/register_geo/)

*სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა.* არსებობს ორი საერთაშორისო წყარო, სადაც განთავსებულია ინფორმაცია საქართველოში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ.

1. Scimago-ს ინსტიტუტი - <https://www.scimagojr.com/countrysearch.php?country=ge>
2. მსოფლიო ბანკი - <https://data.worldbank.org/indicator/IP.JRN.ARTC.SC?locations=GE>.

ორივე წყაროზე განთავსებული მონაცემები არის მხოლოდ ქვეყნის დონეზე და შესაძლებელი არ არის მისი ჩაშლა რეგიონების დონეზე.

რაც შეეხება ადგილობრივი წყაროს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექნიკური აგროვებს ამ მონაცემებს და გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ქართულ რეფერატულ ჟურნალში ასახული სამეცნიერო პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს.

- <https://techinformi.ge/ge/?page=content/main/main>

ამჟამად ხელმისაწვდომია 2008 წლიდან დღემდე რეფერირებული შრომები. მიმდინარეობს ბაზის შევსება 2000-2007 წლების მონაცემებით. რეგისტრირებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა აღემატება 15 ათასს და შესაძლებელია მონაცემების მიღება როგორც ცალკეული წლების, ასევე რეგიონების მიხედვით.

ტექნიკური უნივერსიტეტის მონაცემების გამოყენებით შესაძლებელი იქნება ინდიკატორის წარმოება. ამისთვის კი საჭირო იქნება საქსტატის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომელიც მოახდენს ინდიკატორის წარმოებისთვის საჭირო მონაცემების ინვენტარიზაციას და ინდიკატორის წარმოების პროცედურების და პერიოდულობის განსაზღვრას.

## დასკვნითი დებულებები

საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ყველა სამომავლო საქმიანობა მოქცეული იქნება ასოცირების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების ქვეშ და წარიმართება საქსტატის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით და სხვა უწყებების აქტიური ჩართულობით.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი საქმიანობების განხორციელების უზრუნველსაყოფად და სათანადო მომზადების მიზნით, მიზანშეწონილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მოხდეს ყველა ამ ღონისძიების დაგეგმვა. გარდა ამისა, NUTS კლასიფიკაციის საქართველოში დანერგვა და, შესაბამისად, ჰარმონიზაციის გეგმის განხორციელება უნდა მოხდეს სხვა დოკუმენტებთან კოორდინაციის გზით. მაგალითად, რეგიონული განვითარების პროგრამა, საქსტატის სტრატეგია, მუნიციპალური სტატისტიკის რეკომენდაციები და სხვა.

წინამდებარე გეგმის განხორციელებაში მიზანშეწონილია ასევე ევროსტატის ექსპერტთა მონაწილეობა. შესაბამისად, საჭირო იქნება საქსტატის სამუშაო მისიის (ან მისიების) ორგანიზება ევროსტატთან. გარდა ამისა, საქართველოში NUTS-ის დანერგვის საორიენტაციო სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქსტატს განესაზღვრა NUTS-ის დანერგვისა და მონაცემთა ჰარმონიზაციის დეტალური ფინანსური გეგმის მომზადება<sup>16</sup>.

დასასრულ, მნიშვნელოვანი იქნება ევროსტატთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან აქტიური თანამშრომლობა საქსტატის თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანოების შესაძლებლობების განვითარების მიზნით.

---

<sup>16</sup> აღნიშნული გეგმის მომზადება NUTS-ის საქართველოში დანერგვისთვის საჭირო ქმედებების შემდგომ ეტაპად განისაზღვრა.

**დანართი 1. ევროსტატის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის (NUTS) კლასიფიკაციის გამოყენების შერჩეული სცენარი**

NUTS 1	NUTS 2	მოსახლეობა ('000), 2021	მშპ ერთ სულზე (ლარი), 2021	NUTS 3	არსებული რეგიონები (მხარეები)	მოსახლეობა ('000), 2021	მშპ ერთ სულზე (ლარი), 2021
საქართველო	დასავლეთი საქართველო	1 268.3	12 475	აჭარის ა.რ.	აჭარის ა.რ.	355.2	15 657
				გურია	გურია	106.2	9 784
				სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	304.8	11 294
				იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	იმერეთი	474.1	11 457
					რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	28.1	12 411
	აღმოსავლეთი საქართველო	1 238.0	11 377	შიდა ქართლი	შიდა ქართლი	252.3	9 470
				მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა მთიანეთი	92.9	15 972
				კახეთი	კახეთი	307.2	10 292
				ქვემო ქართლი	ქვემო ქართლი	435.9	11 508
				სამცხე ჯავახეთი	სამცხე ჯავახეთი	149.7	13 587
	თბილისი	1 202.3	25 033	თბილისი	თბილისი	1 202.3	25 033

## დანართი 2. თანმდევნი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. ანგარიში საქართველოში ევროსტატის NUTS მეთოდოლოგიის დანერგვისა და მისი გამოყენების პრაქტიკული შედეგების შესახებ
2. საქართველოში ევროსტატის NUTS კლასიფიკაციის ეტაპობრივი დანერგვისთვის - საწყისი ნაბიჯები (NUTS რეგიონების რეესტრი და კოდირება)
3. ევროსტატის რეგიონული განათლების სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
4. ევროსტატის რეგიონული მეცნიერების და ტექნოლოგიების სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
5. ევროსტატის რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
6. ევროსტატის რეგიონული შრომის სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
7. ევროსტატის რეგიონული გარემოსდაცვითი და ენერგეტიკის სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
8. ევროსტატის სოფლის მეურნეობის სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
9. ევროსტატის სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
10. ევროსტატის რეგიონული ბიზნეს დემოგრაფია (ბიზნეს რეგისტრი) & ხელმისაწვდომობა საქართველოში
11. ევროსტატის რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
12. რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
13. რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
14. რეგიონული ეკონომიკური ანგარიშები & ხელმისაწვდომობა საქართველოში
15. რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
16. რეგიონული ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები & ხელმისაწვდომობა საქართველოში
17. რეგიონული სიღარიბის და სოციალური გარიყულობის სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
18. რეგიონული კრიმინალური სტატისტიკა & ხელმისაწვდომობა საქართველოში
19. რეგიონული განათლების სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
20. რეგიონული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
21. რეგიონული ტრანსპორტის სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
22. რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
23. რეგიონული გარემოსდაცვითი სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
24. რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
25. რეგიონული სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
26. რეგიონული ტურიზმის სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
27. რეგიონული შრომის დანახარჯების სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
28. რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
29. რეგიონული ეკონომიკური ანგარიშები, საჭირო რესურსების შეფასება
30. რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება
31. რეგიონული ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საჭირო რესურსების შეფასება
32. რეგიონული სიღარიბის და სოციალური გარიყულობის სტატისტიკა, საჭირო რესურსების შეფასება.